დასაქმების პერსპექტივა

სწავლის დასრულების შემდგომ უზრუნველყოფილი იქნებით დასაქმების მრავალმხრივი შესაძლებლობით, კერძოდ:

- სხვადასხვა ტიპის მეცხოველეობის ფერმები, ცხოველური სურსათის გადამამუშავებელი საწარმოები, სასაკლაოები.
- სახელმწიფო ორგანოები (სურსათის ეროვნული სააგენტო, სასაზღვრო ვეტერინარული სამსახური).
- ვეტერინარული და სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიები.
- ვეტერინარულ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ვეტერინარული კლინიკები, ზოომაღაზიები, ვივარიუმები, ცხოველთა კოსმეტიკური კაბინეტები, ფარმაცევტული საწარმოები, ვეტერინარული აფთიაქები და სხვა.



გამოიყენეთ ჩვენი შესაძლებლობები და გახდით სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ბაზაზე ახლად აკრედიტებული ვეტერინარიის ინტეგრირებული რეგულირებადი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრის მომზადების საშუალებას იძლევა, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

უნივერსიტეტის შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე) სამართალმემკვიდრეა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალისა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში 1990 წელს დაარსდა, როგორც პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2014 წელს სასწავლო უნივერსიტეტმა შეიცვალა სტატუსი, გახდა სამსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და იქცა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. დღეს, სამხრეთ საქართველოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობით უნივერსიტეტის სახით შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი და პროფესიული განათლების უწყვეტი ერთიანი სივრცე და მძლავრი საგანმანათლებლო კერა.

USDA

LAND O'LAKES VENTURE 37

Georgian Farmers' Association

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

2019 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები და ევროპის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება.

5 წელია სტუდენტის სწავლება და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. პროგრამის დასრულებისა და დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის მაგისტრი

პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ლევან მაკარაძეს. მობ: 571 11 20 10; ელ-ფოსტა: lmakaradze@yahoo.com

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 308 კრედიტს



სტრუქტურა	მათ შორის	კრედიტი
ზოგადი და საბაზისო განათლება თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით (ჯამში 77 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 25%)	ზოგადი განათლება თავისუფალი არჩევითი სასაბავლო კურსებით	34
	საბაზისო განათლება	43
სპეციალობა ვეტერინარიის განათლება (ჯამში 231 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 75%)	საბაზისო დარგობრივი მეცნიერებები	54
	კლინიკური მეცნიერებები	85
	ცხოველების მომშენებლობა	18
	სურსათის ჰიგიენა და კონტროლი	16
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	14
	სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა	24
	სამაგისტრო ნაშრომი	20

პროგრამაში პირველად იქნა წარმოდგენილი და განხორციელდება სწავლება ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა:

ცხოველური სურსათის უვნებლობა, ჰიგიენა და კონტროლი (რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა; ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა; ცხოველური სურსათის უვნებლობა; ხორცის ინსპექტირება).

ცხოველების მოშენება (ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია; ცხოველთა მომშენებლობა და გენეტიკა; ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა; ცხოველთა კვება, ორი სასწავლო კურსით; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მართვა).

რატომ უნდა აირჩიო ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა?

- შეძლებთ მიიღოთ უფასო განათლება (სწავლის გადასახადს აფინანსებს სახელმწიფო).
- პარალელურ რეჟიმში შეძლებთ მიიღოთ დამატებითი განათლება თქვენთვის სასურველ მიმართულებაში (მეძროხეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, თევზის მოშენება, მეფუტკრეობა, კინოლოგია-ფელინოლოგია და სხვა), რაზედაც გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
- საშუალება გექნებათ ჩაერთოთ სტუდენტურ გაცვლით პროგრამებში და ცოდნა აიმაღლოთ უცხოეთის წამყვან ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- სწავლის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებით სტუდენტთა საერთო საცხოვრებლით.
- თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარჩევევებით განმტკიცების მიზნით პროგრამაში დაგეგმილია პრაქტიკული ტრენინგები (პროფესიული-დარგობრივი პრაქტიკა): მეცხოველეობის ფერმებში, ცხოველური სურსათის გადამამუშავებელ საწარმოებში, წვრილი ცხოველების კლინიკებში, სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოში და სხვა.
- სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახლად ჩამოყალიბებული და სადიაგნოსტიკო აპარატურითა და საშუალებებით აღჭურვილი ლაბორატორიებით (კლინიკური, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის, პათოლოგირი ანატომიისა და ჰისტოლოგიის), ანატომიის პრაქტიკუმის ოთახი საპრეპარაციოთი, ქირურგიისა (საოპერაციო) და გინეკოლოგიის ბლოკი სტაციონარით და პროზექტურა.



- სწავლების პროცესში ჩართულია მაღალკვალიფიციური პროფესურა, რომლებსაც აქვთ მდიდარი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება.
- სწავლის პროცესი წარიმართება თანამედროვე აუდიო და ვიდეო აპარატურით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში. თქვენ მოგემსახურებათ ბიბლიოთეკის ფართო ქსელი, საგამოცდო ცენტრი, მუზეუმები, საკონფერენციო დარბაზები.
- სწავლის დასრულების შემდეგ მიიღებთ ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელ დიპლომს, თქვენს მიერ მიღებული განათლება აღიარებული იქნება ევროკავშირის ქვეყნებში, რაც ასევე საზღვარგარეთ სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას იძლევა.